N გ/177
01/02/2022

177-შ-2-202202012215

თინათინ ღვინიანიძე
პ/ნ 01009102712
ტელ: 597380660
gvinianidzetiko@yahoo.com

ქალბატონო თინათინ,

სსიპ საპენსიო სააგენტოს მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებული თქვენი, 2022 წლის 25 იანვრის (საპენსიო სააგენტოში რეგისტრირებული 2022 წლის 25 იანვრის N შ/140) განცხადების (შემდგომში - განცხადება) პასუხად, დანართის სახით გიგზავნით სსიპ საპენსიო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ეთიკის კოდექსს და მოგახსენებთ შემდეგს:

1. ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს სააგენტოს თანამშრომლის მიერ დირექტორისთვის ნებისმიერი იმ ქმედების/მოვლენის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, რომელიც ხორციელდება მისი ან სააგენტოს სხვა თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და ეხება: ა) კანონის დარღვევას, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დანაშაულის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის, ეთიკის კოდექსის ან ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო აქტის, ან/და სააგენტოს დებულების დარღვევას; ბ) ზემოქმედებას სააგენტოს თანამშრომელზე, რომელიც მას აიძულებს ან წაახალისებს უკანონო ან არაეთიკური ქმედების ჩადენისაკენ, მათ შორის ეთიკის კოდექსის პრინციპების დარღვევისაკენ; გ) ქმედებას, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო ქონების ან რესურსების არამიზნობრივად ან თაღლითურად გამოყენებას.
2. განცხადების მე-2 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სააგენტოს დირექტორისთვის ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებით მომართვის ფაქტი არ ფიქსირდება.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი დანელია

დირექტორი